ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3231918

ნომერი: AR1495816

თარიღი : 13.04.2017

გაცემის თარიღი : 02.05.2017

გაცნობის თარიღი : 02.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/26) / ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/29) / ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/030) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გახოკიძე პ/ნ 01008002865
- ი. აბაშიძის N29

ორგანიზაცია:
- შპს ვ.ვ.ვ. კოდი: 203837535

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 13 აპრილს #AR1495816 განცხადებით მომართა გიორგი გახოკიძემ და მოითხოვა 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის

მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობითი პირობები მომზადებულია 1/18/3/18/21 (ფართობი 900 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შერეული ფუნქციის შენობის აშენების მიზნით, განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონის პარამეტრებით და პირობებით.
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებას, საპროექტო მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირების გამო, ნაკვეთის საკადასტრო კოდის და ფართობის უცვლელად.
ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 31 ოქტომბრის #4421 ბრძანებით, აღნიშნულ აქტში შევიდა ცვლილება, კერძოდ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი დაფიქსირდა N01.18.03.018.036 და ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის N2370 განკარგულებაის საფუძველზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების და ინტენსივობის კოეფიციენტებად მიეთითა კ–1=1.0 და კ–2=7.4.
ამის შემდგომ, ისევ შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივნისის #კოლ-1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებში და (2013 წლის 08 ივლისის №780550 ბრძანება) დაფიქსირდა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი #01.18.03.018.036 რეგისტრაციის ნომერი #882013273607 14.06.2013 წ. ფართობი: 900.00 კვ.მ);
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირების შემდეგ მიწის ნაკვეთის ფართობი და საკადასტრო კოდი არ შეცვლილა, შეცვლილია მხოლოდ ნაკვეთის კონფიგურაცია.
ამასთან, განმცხადებლის მიერ, რომელიც ასევე ერთ-ერთი მესაკუთრეა წარმოდგენილია ყველა მესაკუთრის თანხმობა აღნიშნული ცვლილების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა ქალაქგეგმარებითი მთვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა .
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს განახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.036; ფართობი: 900 კვ.მ., სარეგისტრაციო ნომერი #882017281019; თარიღი: 10.04.17);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივნისის №კოლ–1/53 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.